

შპს „ბ.მ.ტ.“ ს/ნ: 405080610

ფინანსური ანგარიშგება

შპს „ბ.მ.ტ.“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	768,753	769,154	732,376
სულ გრძელვადიანი აქტივები		768,753	769,154	732,376
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური	5	701,915	786,634	721,547
ფასეულობები	6	24,263	27,303	25,710
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	34,619	35,237	50,989
სხვა მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	8	49,679	3,163	35,829
სულ მიმდინარე აქტივები		810,476	852,237	834,075
სულ აქტივები		1,579,229	1,621,491	1,566,451
კაპიტალი	9			
საწესდებო კაპიტალი		4,216	4,216	4,216
გაუნაწილებელი მოგება		548,432	616,692	742,847
სულ კაპიტალი		552,648	620,908	747,063
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	10	141,246	194,329	241,306
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		141,246	194,329	241,306
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	885,335	806,254	578,082
სულ მიმდინარე ვალდებულებები		885,335	806,254	578,082
სულ ვალდებულებები		1,026,581	1,000,583	819,388
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,579,229	1,621,491	1,566,451

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი - ბესიკ ნატრიძე

ბ. ნატრიძე



01 ოქტომბერი, 2025
თბილისი, საქართველო

შენიშვნები 4-7 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ბ.მ.ტ.“
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერი

		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შემოსავალი	12	3,330,194	3,200,830
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(2,860,091)	(2,890,458)
საერთო მოგება/(ზარალი)		470,103	310,372
დასაქმებულთა ანაზღაურება	14	(310,886)	(323,430)
ცვეთა და ამორტიზაცია	15	(6,007)	(6,537)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	16	(53,903)	(28,683)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		99,307	(48,278)
საპროცენტო ხარჯი	17	(21,445)	(26,916)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან	18	(21,084)	(2,045)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	19	(21,039)	-
მოგების გადასახადის ხარჯი	20	(12,426)	(7,337)
მოგება დაზღვევამდე		23,313	(84,576)
დივიდენდის განაწილება	9	(95,789)	(41,579)
დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება	9	548,432	620,908

ხელმძღვანელი პირი:

დირექტორი - ბესიკ ნატრიძე




01 ოქტომბერი 2025
თბილისი, საქართველო

შენიშვნები 4-7 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „ბ.მ.ტ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის დეკემბერი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბ.მ.ტ“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2015 წლის 16 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით - 405080610.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს რკინის ნაწარმის იმპორტი და რეალიზაცია. იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მიცკევიჩის ქ. ნომერი 29, ბ 8.

ფაქტობრივი მისამართი:

კომპანიის დამფუძნებელი და წილის 100 %-ის მფლობელია ფიზიკური პირი ბესიკ ნატრაძე (პ/ნ 16001002744)

კომპანიის ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი, დირექტორი - ბესიკ ნატრაძე (პ/ნ 16001002744).

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2022 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. კომპანია არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგების.

საქართველოს საგადასახადო, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

მენეჯმენტს შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური მდგომარეობა. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად

შპს „ბ.მ.ტ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის დეკემბერი

საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

7. სხვა მოკლევადიანი აქტივები

სხვა მოკლევადიანი აქტივების სახით აღიარებულია საგადასახადო აქტივი, საწარმოს პერსონალის მიმართ არსებული მოთხოვნა და სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები;

შპს „ბ.მ.ტ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის დეკემბერი

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშსა და სალაროში.

9. საკუთარი კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი განისაზღვრება საწესდებო კაპიტალისგან და გაუნაწილებელი მოგებისგან.

დივიდენდების აღიარება ხდება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ის გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ის შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

კომპანიას 2022 -2023 წლებში გაცემული აქვს დივიდენდი 137 368 ლარის ოდენობით.

10. სესხები

კომპანიას აქვს სასესხო ვალდებულება საბანკო დაწესებულების მიმართ, რომლის ნაშთი მცირდება მიმდინარე სავალო ვალდებულებების ეტაპობრივი დაფარვის შედეგად.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა გრძელვადიანი/მოკლევადიანი ვალდებულებების ნაშთი შეადგენს 885,335 ლარს. აღნიშნული ვალდებულებები დაკავშირებულია მომწოდებლების მიმართ კომპანიის მიმდინარე ოპერაციული აქტივობებიდან წარმოშობილ დავალიანებასთან.

12. შემოსავალი

შემოსავალი შედგება ძირითადი საქმიანობის - ლითონის (რკინის ნაწარმის) რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლისაგან.

13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქტის ღირებულება მოიცავს ლითონის (რკინის ნაწარმის) შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის: ნედლეულის ღირებულებას და ტრანსპორტირებას.

14. დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურება მოიცავს კომპანიის თანამშრომლებისთვის გაწეულ შრომით ანაზღაურებას, მათ შორის ხელფასებსა და შესაბამის სავალდებულო შენატანებს (დაგროვებითი პენსია)

შპს „ბ.მ.ტ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის დეკემბერი

15. ცვეთა და ამორტიზაცია

ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი ასახავს კომპანიის მიერ შეძენილ და გამოყენებაში მყოფ ძირითად საშუალებებზე დარიცხულ ცვეთასა და ამორტიზაციას, რომელიც გამოითვლება მათი შესყიდვის ღირებულებისა და სასარგებლო გამოყენების ვადის მიხედვით.

16. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული ხარჯები შედგება საოფისე და საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული კომუნალური ხარჯებისგან, საკანცელარიო და სხვა საოფისე ინვენტარის ხარჯებისგან, ასევე საკონსულტაციო მომსახურების საფასურისა და სხვა მსგავსი ადმინისტრაციული ხარჯებისგან.

17. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი წარმოადგენს ბანკისთვის გადახდილ პროცენტს მიღებული სესხის მომსახურებასთან დაკავშირებით.

18. ზარალი საკურსო სხვაობიდან

საკურსო სხვაობიდან წარმოშობილი ზარალი ასახავს უცხოურ ვალუტაში არსებულ ვალდებულებებსა და მოთხოვნებზე ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილების გავლენას, რომელიც აღირიცხა ფინანსურ შედეგებში საანგარიშო პერიოდში.

19. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

სხვა არასაოპერაციო ხარჯებში აისახება სხვადასხვა ერთჯერადი და არარეგულარული ხარჯები, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება კომპანიის ძირითადი საქმიანობის პროცესს, მაგრამ კავშირშია კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობასთან და ფინანსურ შედეგებთან..

20. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი ასახავს განაწილებული მოგებიდან წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებას, რომელიც დარიცხულია საანგარიშო პერიოდში. საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, მოგების გადასახადით მოგება იბეგრება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხდება მოგების განაწილება (დივიდენდის ფორმით ან ეკონომიკურად მასთან გათანაბრებული გადახდებით).

ხელმომწერი პირი:

დირექტორი - ბესიკ ნატრიძე




01 ოქტომბერი, 2025

თბილისი, საქართველო